+4.80 ნიშნულზე ბუნებრივი განიავების/ბისათვის მოწყობილი ღიობების ანგარიში



სარდაფის გარე კედლების ღიობების ხვედრითი წარმოება - 30.6 მ²
სარდაფის იატაკის ხვედრითი წარმოება - 1044.7 მ²
30.6 *100/1044 = 2.93%
2.93% < **4%**



სარეცხის გარე კედლების ღიობების ხვედრითი წარმოება - 10.8 მ²
სარეცხის იატაკის ხვედრითი წარმოება - 148.6 მ²
10.8 *100/148.6 = 7.27%
7.27% > **4%**



დერეფნის გარე კედლების ღიობების ხვედრითი წარმოება - 5.4 მ²
დერეფნის იატაკის ხვედრითი წარმოება - 84.3 მ²
5.4 *100/84.3 = 6.4%
6.4% > **4%**

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

,,ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის ობიექტი:

ქ.თბილისში, თვალჭრელიძის ქ№5-ში, ს/კ 01.19.18.006.181 ხორცპროდუქტების საწარმოს პროექტი


დამკვეთი:

შპს „მარგე“

პროექტის ავტორი

დათო ომანაძე

ექსპერტი:

მაგდა მეშვილდიშვილი 

ექსპერტიზის თარიღი ან პერიოდი:

06.03.2024

06.03.2024 მაგდა მეშვილდიშვილი

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან, ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალების ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. სიტუაციური გეგმა;
5. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
6. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
7. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები (არქიტექტურული ნაწილი);
8. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
9. გზა-კიბის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
10. აივნის მოაჯირის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
11. გარე კედლების დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
12. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი).

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება---------- 3

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 4

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება----------5

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 6

მისაწვდომობის შეფასება----------7

შიგა გარემოს შეფასება ----------8

გარე კედლების შეფასება ----------9

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება---------- 10

წყალსადენი სისტემების შეფასება---------- 11

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება ---------- 12

ლიფტების შეფასება ---------- 13

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- **შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.**

- **შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:**

- **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (ხორცპროდუქტებისა და ბოსტნეულის დასამუშავებელი სივრცეები, ჭურჭლის სამრეცხაო და საკონდიტრო) - შეესაბამება 306.2 ქვეთავს, რომლის მიხედვითაც, ეს ჯგუფი მოიცავს საკვები პროდუქტების გადამუშავებას და კომერციულ სამზარეულოებს, რომლებიც არ ეკუთვნის რესტორნებს, კაფეებსა და მსგავს დაწესებულებებს; ასევე საცხობებს და სამრეცხაოებს.

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ- 2** (პროდუქტის, ჭურჭლის და სარეცხი საშუალებების საწყობები, მაცივრები და საყინულეები) - შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება საწყობები, სადაც ინახება: საკვები პროდუქტები, საკვები ცეცხლგამძლე კონტეინერებში, ახალი ხილი და ბოსტნეული არაპლასტმასის ლანგრებზე ან კონტეინერებში, გაყინული საკვები, ხორცეული, არაუმეტეს 16%-ის ალკოჰოლის შემცველი სასმელები ლითონის, მინის ან თიხის ჭურჭელში, მინის ბოთლები, ცარიელი ან არაწვადი სითხეებით სავსე, სარეცხი და საშრობი საშუალებები.

- **საქმიანი ჯგუფი სქ (კაბინეტი, პერსონალის გასახდელები)** - შეესაბამება 304.1 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

- **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს (დამხმარე სათავსები)** - შეესაბამება 304.1 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა-ნაგებობა ან მისი ნაწილები, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს. ეს ჯგუფი მოიცავს დამხმარე-სამეურნეო და ტექნიკურ სათავსებს.

- საპროექტო შენობაში სქ დაკავებულობა წარმოადგენს დამხმარე დაკავებულობას. იგი არ იკავებს იმ სართულის ფართობის 10%-ზე მეტს, სადაც მდებარეობს, და მისი სიმაღლე და ფართობი არ აღემატება 503-ე ცხრილში განსაზღვრულს. ყოველივე ეს შესაბამისობაშია 508.2.1 ქვეთავის მოთხოვნებთან.
- 508.2.2 ქვეთავის მოთხოვნების მიხედვით, დამხმარე დაკავებულობები ინდივიდუალურადაა კლასიფიცირებული, 302.1 ქვეთავის შესაბამისად.

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

  - პროდუქტის დასამუშავებელი/სამზარეულო სივრცეებსთვის ---------- 9.3 მთლიანი;
  - სათავსებისათვის, საყინულეებისა და მაცივრებისთვის ---------- 27.9 მთლიანი;
  - კაბინეტისა და გასახდელებისათვის ---------- 9.3 მთლიანი;
  - საწყობებისათვის ---------- 46.5 მთლიანი.

- **ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.**

შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა სართულების, ასევე შენობის სიმაღლის განსასაზღვრად დადგინდა მიწის დონე. მიწის დონე გამოთვლილ იქნა შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის 1,8 მ-მდე ფარგლებში მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით.
- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 8.6 მეტრით და შენობაში განთავსებულია მიწის დონის ზედა 2 (ორი) სართული.
- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:

I სართული ----------ჯგუფი სმ-1 (441.7 მ²); ჯგუფი სწ-2 (351.2 მ²);
ჯგუფი სქ (70.4 მ²); ჯგუფი დს (37.2 მ²);

II სართული ----------ჯგუფი სმ-1 (1044.7 მ²); ჯგუფი სწ-2 (148.6 მ²)

- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (I-B) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად
არის შერჩეული. I-B ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად.
- I-B ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად.
- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არამზიდი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არამზიდი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 721 ქვეთავის მიხედვით.

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ----------2სთ.
- გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2სთ.
- იატაკის კონსტრუქცია და არამზიდი ნაწილები ---------- 2სთ.
- სახურავის კონსტრუქცია და არამზიდი ნაწილები ---------- 2 სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

06.03.2024 მაგდა მეშვილდიშვილი

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- სახურავის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობას გააჩნია პარაპეტი, რომლის სიმაღლე უტოლდება 1.50 მეტრს და რომლის ცეცხლმედეგობაც უტოლდება მისი საყრდენი გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავის მოთხოვნას.
- გარე კედლებში არსებული ღიობების შვეულად გამიჯვნა სავალდებულო არაა 705.8.5 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად, ვინაიდან საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან 3 სართულზე ნაკლებია.
- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობის შემადგენელი ნაწილები დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობებად, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ურთიერთდაცულ ნაწილებად ფორმირების მიზნით. 707.3.9 ქვეთავის მიხედვით, 508.4 ქვეთავის დებულებების გამოყენების შემთხვევაში, შერეული დაკავებულობების გამმიჯნავი ცეცხლმედეგი ზღუდეების ცეცხლმედეგობის ხარისხი 508.4 ქვეთავში მითითებულზე ნაკლები არ უნდა იყოს, რაც დამოკიდებულია გამიჯნულ დაკავებულობაზე.
- დერეფნების კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 708.1 ქვეთავის და 1018.1 ცხრილის მოთხოვნას.
- საპროექტო შენობაში გათვალისწინებული შიგა გასასვლელის გზა-კიბეების შემოზღუდვა სავალდებულო არაა 1009.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისით, რომლის მიხედვითაც, დწ-2 და დწ-3 ჯგუფებისგან განსხვავებულ დაკავებულობებში, გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები, რომლებიც ემსახურება ან აკავშირებს მხოლოდ ორ სართულს, არ საჭიროებს შემოზღუდვას, თუმცა, პროექტი ითვალისწინებს მათ შემოზღუდვას 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.
- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ვინაიდან ლიფტი მხოლოდ 2 სართულს აკავშირებს, იგი შემოზღუდულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, 713.4 ქვეთავის მიხედვით.
- ვინაიდან ლიფტი მხოლოდ 2 სართულს აკავშირებს, მის წინ შემოზღუდული ფოიე არაა საჭირო, 713.14.1 ქვეთავის მიხედვით. ასევე არაა სავალდებულო მისი აღჭურვა დაწნევის სისტემით.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზები:

- 915.5 ქვეთავის მიხედვით, შენობა-ნაგებობას უნდა ემსახურებოდეს, სულ მცირე, სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის ერთი მისასვლელი გზა.
- საპროექტო შენობას ორი (დასავლეთის და სამხრეთის) მხრიდან ესაზღვრება სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა.

- 915.4 ქვეთავის მიხედვით, გზის თავისუფალი და ჩაუხერგავი შეუღლი სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 4.5 მეტრისა, ხოლო გზის მოხვევის შ და რადიუსი - არანაკლებ 6 მეტრისა. ასევე, ამავე ქვეთავის პირველი გამონაკლისის მიხედვით, არსებულ განაშენიანებაში, ყველა ჯგუფის შენობა-ნაგებობისათვის, რომელთა სიმაღლე არ აღემატება 10 მეტრს, გზის სიგანე დასაშვებია იყოს არანაკლებ 3.5 მეტრისა. აღნიშნული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
- 915.7 ქვეთავის მიხედვით, ახალი ან არსებული განაშენიანების ტერიტორიაზე სც, თვ, სვ, სქ, სმ, სწ და დს ჯგუფის შენობებთან, რომელთა სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 10 მეტრს, სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა უნდა მიდიოდეს შენობის მთავარ შესასვლელ კარამდე არაუმეტეს 15 მეტრის დაშორებით. მისასვლელი გზა უნდა მოეწყოს ისე, რომ შენობის პირველი სართულის გარე კედლის ნებისმიერი ნაწილი განთავსებული იყოს სახანძრო და საავარიო- სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზიდან არაუმეტეს 45 მეტრის მანძილზე. აღნიშნული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

  ვინაიდან საპროექტო შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 10 მეტრზე დაბალია, 915.9 ქვეთავის მიხედვით, ავტოკიბეებისათვის მისაწვდომი თავისუფალი 8 მეტრი სიგანის სივრცის გათვალისწინება სავალდებულო არაა.
- როგორც საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე მის მიმდებარედ, სახანძრო-სამაშველო ტექნიკის მისადგომი გზები დაპროექტებულია იმგვარად, რომ იგი არაა ჩახერგილი, მათ შორის, არც გამწვანებული და არც ავტოსადგომი სივრცეებით, მათი სიგანე და მოხვევის რადიუსი ნებისმიერ შემთხვევაში იქნება შენარჩუნებული.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- 903.2.4 ქვეთავის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დააყენონ ყველა შენობაში, რომლებიც შეიცავს სმ-1 ჯგუფის დაკავებულობებს, თუ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მდგომარეობაა:

  1. სმ-1 ჯგუფის დაკავებულობაში ხანძრისგან დაცული ფართობი 1115 მ 2-ს აღემატება;
  2. სმ-1 ჯგუფის დაკავებულობაში ხანძრისგან დაცული ფართობი მიწის დონიდან სამ სართულზე მაღლაა;
  3. სმ-1 ჯგუფის დაკავებულობის ხანძრისგან დაცული ფართობის საერთო ფართობი ანტრესოლიანად ყველა იატაკზე 2300 მ 2 -ს აღემატება;
  4. სმ-1 ჯგუფის დაკავებულობა, რომელიც გამოიყენება გადაკრული/რბილი ავეჯის ან მატრასის წარმოებისთვის, 250 მ 2-ს აღემატება.
- საპროექტო შენობაში არ გვხვდება არცერთი ზემოთჩამოთვლილი მდგომარეობა, შესაბამისად, სმ-1 ჯგუფის დაკავებულობების ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვა სავალდებულო არაა.
- 903 ქვეთავის მიხედვით, დქ, დს და სწ-2 ჯგუფის ფართობების აღჭურვა ავტისაშხეფი სისტემებით სავალდებულო არ არის.

- გარდა ამისა, 903.2.11.3 ქვეთავის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დააყენონ შენობებში, სახანძრო განყოფილების ავტომობილის მისადგომიდან 16,8 მ-ზე ან 16,8 მ-ზე მაღლა მდებარე სადაც იატაკის დონის დაკავებულობის დატვირთვა 30 ან 30-ზე მეტია. შესაბამისად, საპროექტო შენობის ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფა არც ამ ქვეთავის მიხედვითაა სავალდებულო.

- **სახანძრო მილდგარების სისტემები:**

- 905.3.1 ქვეთავის მიხედვით, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან, ან თუ ყველაზე დაბლა მდებარე სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით დაბლაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე მაღალი დონიდან. შესაბამისად, საპროექტო შენობის სახანძრო მილდგარებით უზრუნველყოფა სავალდებულო არაა.
- **ხელის ცეცხლმაქრები:**

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია სქ, სმ, თვ და სწ ჯგუფის დაკავებულობებში, რაც შეესაბამება 906 ქვეთავის მოთხოვნას.

- **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:**

- 907.2.4 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას 907.5 ქვეთავის შესაბამისად, უნდა მოეწყოს სმ ჯგუფის დაკავებულობებში, სადაც დაცულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

  1. სმ ჯგუფის დაკავებულობა ორ ან ორზე მეტსართულიანია;

  2. სმ ჯგუფის დაკავებულობის საეთო დატვირთვა შეადგენს 500-ს ან მეტს შენობიდან გამოსასვლელი ყველაზე დაბალი დონის ზემოთ ან ქვემოთ.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სმ ჯგუფის დაკავებულობები აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა,
- 907.2.2 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა უნდა მოეწყოს სქ ჯგუფის დაკავებულობებში, სადაც შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს აკმაყოფილებს:

  1. სქ ჯგუფის ყველა იატაკის დაკავებულობის საერთო დატვირთვა შეადგენს 500 კაცს ან მეტს;

  2. სქ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა 100 ადამიანზე მეტია შენობიდან გამოსასვლელის ყველაზე დაბალი დონის ზემოთ ან ქვემოთ;

  3. ცეცხლისგან დაცული ფართობი მოიცავს მოვლა-მზრუნველობის ამბულატორიულ დაწესებულებას.
- საპროექტო შენობაში არ გვხვდება ზემოთჩამოთვლილთაგან არცერთი მდგომარეობა, შესაბამისად, სქ ჯგუფის ფართობის სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით უზრუნველყოფა სავალდებულო არაა, თუმცა, პროექტი მას ითვალისწინებს.
- მთელს საპროექტო შენობაში, გარდა სველი წერტილებისა, გათვალისწინებულია ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის, სახანძრო განგაშის ხელით სამართავის სისტემისა და დამკავებელთა შეტყობინების სისტემის მოწყობა, ხოლო სმ, და სწ დაკავებულობები აღჭურვილია კვამლაღმომჩენებით.
- სასაწყობე ფართებიდან მოხდება კვამლის ბუნებრივი განიავება არსებული ღიობებით.

06.03.2024 მაგდა მეშვილდიშვილი

გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- 1021.2(2) ცხრილის მიხედვით, შენობას უნდა ემსახურებოდეს მინიმუმ ორი გასასვლელი.

  I სართულზე პროექტით გათვალისწინებულია 12 გასასვლელი გზა-კარის სახით. პრაქტიკულად, თითოეულ დაკავებულ სივრცეს ემსახურება დამოუკიდებელი გასასვლელი, რომელიც გამოსასვლელის დონეზეა და პირდაპირ შენობის გარეთ გადის. სადაც სავალდებულოა, რომ დაკავებულ სივრცეს ემსახურებოდეს 2 გზა-კარი, მატ შორის მანძილი აღემატება ფართობის დიაგონალის ნახევარს, როგორც ამას 1015.2.1 ქვეთავი მოითხოვს. შენობიდან გამოსასვლელების რაოდენობიდან და კონფიგურაციიდან გამომდინარე, გამოსასვლელებთაგან მინიმუმ ორ გზა-კარს შორის მანძილი აღემატება შენობის დიაგონალის ნახევარს.
- II სართულზე საპროექტო შენობას ემსახურება 2 გასასვლელი გზა-კიბის სახით.
- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, 1005.3.1 ქვეთავის შესაბამისად, 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბეების გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (ამ შემთხვევაში 1.2 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის შეადგენს 1 მეტრს, შესაბამისად, არაა მოთხოვნილ მინიმუმზე ნაკლები.
- გასასვლელი საშუალების - დერეფნის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, 1005.3.2 ქვეთავის მიხედვით, თითო დამკავებელზე 5.1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.2 მ), თუმცა წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.5 მეტრს.
- გასასვლელი საშუალების - გზა-კარის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, 1005.3.2 ქვეთავის მიხედვით, თითო დამკავებელზე 5.1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მ), თუმცა წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 0.82 მეტრს.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- ყველა იმ ფართში, სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასვლელის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია ყველა გასასვლელთან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- გზა-კიბეების საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- გზა-კიბეების საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 28 სმ-ით, ხოლო მაქს.ამაღლება არ აღემატება 17 სმ-ს. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბის შემაღლებები/შუბლები მასიურია, ღიობების გარეშე, როგორც ამას 1009.7.5.3 ქვეთავი მოითხოვს.

06.03.2024 მაგდა მეშვილდიშვილი

- არცერთი გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბეების მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად
  1009.10 ქვეთავისა.
- კიბეების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბეების სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.
- 1103.2.3 ქვეთავის მიხედვით, თანამშრომლების სამუშაო ფართობებზე სივრცეები და ელემენტები უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ 907.9.1.2, 1007-ე და 1104.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს და ისე უნდა დაგეგმარდეს და აიგოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეეძლოთ სამუშაო ფართობთან მისვლა, შესვლა და გამოსვლა. ყველა მოთხოვნისგან თავისუფალია სამუშაო ფართობები ან მათი ნაწილები, რომელთა ფართობი ნაკლებია 30 მ 2-ზე ან რომლებიც, სივრცის ფუნქციური დატვირთვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 18 სმ-ით ან მეტადაა ამაღლებული მიწის ან მოპირკეთებული იატაკის დონიდან.
- 1104.3.1 ქვეთავის მიხედვით, თანამშრომლების სამუშაო 100 მ2-ზე მცირე ფართობის საზღვრებში მუდმივი ტიხრებით, დახლებით ან ავეჯით გამოყოფილი საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკები, დასაშვებია, არ იყოს მისაწვდომი სვლაგეზები; ასევე თანამშრომლების სამუშაო ფართობების საზღვრებში მოწყობილი საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკები, რომლებიც მოწყობილობის განუყოფელი კომპონენტია, დასაშვებია, არ იყოს მისაწვდომი სვლაგეზები.
- 1103.2.15 ქვეთავის მიხედვით, მაცივარ-კამერები და საყინულე კამერები, რომელთაც მხოლოდ თანამშრომლები იყენებენ, არ საჭიროებს მისაწვდომობას.
- 1105.1 ქვეთავის მიხედვით, ტვირთის შესაზიდი და მომსახურებისთვის განკუთვნილი შესასვლელები, რომლებიც არ არის საზოგადოებრივი სივრცის ერთადერთი შესასვლელი, არ საჭიროებს მისაწვდომობას.
- 1103.2.5 ქვეთავის მიხედვით, დს ჯგუფის დაკავებულობებს არ ეხება მისაწვდომობის მოთხოვნები.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის შესასვლელემდე, თანახმად 1104 ქვეთავისა.
- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.

- პროექტით გათვალისწინებულია მისაწვდომი ტუალეტის ოთახი, რაც შეესაბამება 1109 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- პროექტში წარმოდგენილი გზა-კიბეები წარმოადგენს მისაწვდომ გასასვლელ საშუალებებს.
- 1007.3 ქვეთავის მიხედვით,იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან.
- 1007.6 ქვეთავის მიხედვით, ყველა აუცილებელ თავშესაფრის ფართობს უნდა ჰქონდეს მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები იმ სივრციდან, რომელსაც ის ემსახურება. მაქსიმალურისავალი მანძილი ნებისმიერი მისადგომი სივრციდან თავშესაფრის ფართობამდე არ უნდა აღემატებოდეს 1016.1 ქვეთავში დაკავებულობისთვის განსაზღვრულ სავალ მანძილს. ყველა აუცილებელი თავშესაფრის ფართობი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს 1007.3 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილ გზა-კიბეს ან 1007.4 ქვეთავის შესაბამისად დაყენებულ ლიფტს. თუ თავშესაფრის ფართობად გამოყენებულია ლიფტის ფოიე, შახტი და ფოიე უნდა აკმაყოფილებდეს 1022.10 ქვეთავში კვამლგაუმტარი შემომზღუდავებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. თითოეული თავშესაფრის ფართობი უნდა მოიცავდეს ერთი ეტლისათვის საჭირო სივრცეს, რომლის ზომებია 76 სმ × 1.3 მ, ყოველი 200 დამკავებლისათვის ან მათი ნაწილისათვის, თავშესაფრის ფართობისა და იმ ფართობების დაკავებულობის დატვირთვის გათვალისწინებით, რომელთაც ემსახურება თავშესაფრის ფართობი. ეტლისათვის საჭირო ასეთი სივრცეები არ უნდა 407 ამცირებდეს გასასვლელის აუცილებელ სიგანეს. თავშესაფრის ფართობზე ეტლისთვის საჭირო ნებისმიერ სივრცესთან მისაწვდომი არ უნდა ჩაიხერგოს ერთზე მეტი მომიჯნავე ეტლისთვის საჭირო სივრცით.

პროექტით 1007 ქვეთავის მოთხოვნები გათვალისწინებულია. თავშესაფრის ფართობი მდებარეობს შემოზღუდული გზა-კიბის გადიდებულ გაქანზე და სავალი მანძილი არ აღემატება 1016.1 ქვეთავში მოთხოვნილს.

06.03.2024 მაგდა მეშვილდიშვილი

სახურავის ანაწყობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს მინ. 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

შიგა გარემოს შეფასება:

- საპროექტო შენობის ფუნქციიდან გამომიდნარე, ყველა დაკავებული ფართობი ნიავდება ბუნებრივად და მექანიკურად.
- 1203.4 ქვეთავის მიხედვით, გამოყენებული სივრცე ბუნებრივად უნდა ნიავდებოდეს ფანჯრების, კარების, სანიავებელი ღიობების ან სხვა ღიობების საშუალებით, რომლებიც შენობის გარეთ გადის. გარე გასაღები ღიობის მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში უნდა იყოს გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%.
- ±0.00 ნიშნულზე მდებარე სამრეწველო სივრცეები ღიობების გარეშეა, ამიტომ უზრუნველყოფილია მექანიკური განიავება. რაც შეეხება მეორე სართულზე, +4.80 ნიშნულზე მდებარე საწარმოო ფართობს, იგი ნიავდება მექანიკურად, ვინაიდან, მიუხედვად იმისა, რომ გარე კედლებში მოწყობილია ღიობები, მათი გასაღები ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში შეადგენს 2.93%-ს, ანუ ნაკლებია გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ზე.
- +4.80 ნიშნულზე მდებარე სასაწყობე ფართი ნიავდება ბუნებრივად, გარე კედლებში მოწყობილი ღიობების გასაღები ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში შეადგენს 7.27%-ს, ანუ აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს.
- +4.80 ნიშნულზე მდებარე დერეფანიც ნიავდება ბუნებრივად. გარე კედლებში მოწყობილი ღიობების გასაღები ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში შეადგენს 6.4%-ს, ანუ აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს.
- რაც შეეხება სველ წერტილებს, ისინი ნიავდება მექანიკურად.
- საპროექტო შენობის ფუნქციიდან გამომიდნარე, ყველა დაკავებული ფართობი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, 1205.3 ქვეთავის შესაბამისად.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, გზა-კიბის და ლიფტების მომსახურე ვესტიბიულში, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით.
- რაც შეეხება ორთქლშემაკავებლებს, აღნიშნულის მოწყობა სავალდებულოა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-4 (საზღვაო) კლიმატურ ზონებში. საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი კლიმატური ზონა (1-ლი, მე-3, მე-7) და მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მაღალ მთიან რეგიონებშია სავალდებულოა
- შენობა-ნაგებობებში ორთქლშემაკავებლების მოწყობა. საპროექტო შენობაში ორთქლშემაკავებლების მოწყობა არაა სავალდებული, თანახმად 1405.3 ქვეთავისა.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოწყობილია გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, რაც აკმაყოფილებს 1405.4 ქვეთავის მოთხოვნას.

წყალსადენის სისტემის შეფასება:

- თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე არის გაყოფილი, მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას მიესადაგება 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები კი მომდევნო მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო შენობაში სქ დაკავებულობა დამხმარე დაკავებულობას წარმოადგენს. სქ ჯგუფად კლასიფიცირებულ გასახდელებშია განთავსებული სმ ჯგუფისთვის აუცილებელი წყალსადენის მოწყობილობები, ხოლო ამ სქ ჯგუფისთვის ცალკე წყალსადენის მოწყობილობების რაოდენობების გათვალისწინება საჭირო აღარაა.

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- საპროექტო შენობის მიმდებარედ მოწყობილია გარე ღია ავტოსადგომი, რომელიც განთავსებულია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფარგლებში.
- აღნიშნული ავტოსადგომები კლასიფიცირებულია, როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების ავტოსადგომი, თანახმად 406.4 ქვეთავისა.

- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ, თითოეული სტანდარტული ავტოსადგომის სიგანე უტოლდება 2.5 მეტრს, ხოლო სიგრძე 5.5 მეტრს.
- საავტომობილო გზის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს და განსაზღვრულია 3.5 მეტრის სახით.
- საავტომობილო გზის მოხვევის რადიუსები აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 პუნქტისა.
- ავტოსადგომთან მოწყობილია ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელიანი საავტომობილო გზა, რაც დასაშვებია 406.9.4.7 ქვეთავის გამონაკლისით.
- ავტოსადგომის თითოეულ დონეზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“.
- თანახმად 1106.5 ქვეთავისა, ყოველი ექვსი მისაწვდომი ავტოსადგომი სივრციდან, სულ მცირე, ერთი ან მათგან რაღაც ნაწილი მიკროავტობუსებისთვის მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე უნდა იყოს. მიკროავტობუსისათვის განსაზღვრული პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.
-

ლიფტის შეფასება:

- 1701.5 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობაში ლიფტის დაყენება სავალდებულო არაა, ვინაიდან გამოყენებული იატაკი შენობიდან გამოსასვლელის დონიდან ოთხზე მეტი სართულით ზემოთ ან ქვემოთ არაა. მიუხედავად ამისა, საპროექტო შენობას ემსახურება 1 ლიფტი.
- საპროექტო ლიფტის 1702.4 ქვეთავთან შესაბამისობა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სავალდებულო არაა.
- ლიფტის შახტა შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 1 საათით. აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას.

დასკვნა:

ქ.თბილისში, თვალჭრელიძის ქ№5-ში, ს/კ 01.19.18.006.181 ხორცპროდუქტების საწარმოს პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. ამრიგად, საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

არქიტექტორი: დათო ომანაძე

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი 

06.03.2024 მაგდა მეშვილდიშვილი

საექსპერტო დასკვნა

„ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის № 732 დადგენილების მოთხოვნებთან
შესაბამისობის დადგენის მიზნით

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, თვალჭრელიძის ქ№5, ს/კ 01.19.18.006.181

ობიექტის დანიშნულება: ხორცპროდუქტების საწარმო

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად გადმოცემულია შემდეგი მასალები:

1. ინფორმაცია საპროექტო ობიექტის თაობაზე;
2. გენგეგმა მ 1:500;
3. გეგმები, ჭრილები, ფასადები მ 1:100;
4. აქსონომეტიული ხედები და ფოტომონტაჟი.

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორესა და რეალობასთან შესაბამისობაზე
პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალები სრულიად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

- ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების 102.2 ქვეთავის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მე-10 თავების შესაბამის დებულებებს უნდა აკმაყოფილებდეს ის ადგილები, საშუალებები, შენობები და ელემენტები, რომლებიც მისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ შესაბამისად;

- 1103.2.3 ქვეთავის მიხედვით, თანამშრომლების სამუშაო ფართობებზე სივრცეები და ელემენტები უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ 907.9.1.2, 1007-ე და 1104.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს და ისე უნდა დაგეგმარდეს და აიგოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეეძლოთ სამუშაო ფართობთან მისვლა, შესვლა და გამოსვლა. ყველა მოთხოვნისგან თავისუფალია სამუშაო ფართობები ან მათი ნაწილები, რომელთა ფართობი ნაკლებია 30 მ 2-ზე ან რომლებიც, სივრცის ფუნქციური დატვირთვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 18 სმ-ით ან მეტადაა ამაღლებული მიწის ან მოპირკეთებული იატაკის დონიდან.

- 1104.3.1 ქვეთავის მიხედვით, თანამშრომლების სამუშაო 100 მ2-ზე მცირე ფართობის საზღვრებში მუდმივი ტიხრებით, დახლებით ან ავეჯით გამოყოფილი საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკები, დასაშვებია, არ იყოს მისაწვდომი სვლაგეზები; ასევე თანამშრომლების სამუშაო ფართობების საზღვრებში მოწყობილი საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკები, რომლებიც მოწყობილობის განუყოფელი კომპონენტია, დასაშვებია, არ იყოს მისაწვდომი სვლაგეზები.

- 1103.2.15 ქვეთავის მიხედვით, მაცივარ-კამერები და საყინულე კამერები, რომელთაც მხოლოდ თანამშრომლები იყენებენ, არ საჭიროებს მისაწვდომობას.

- 1105.1 ქვეთავის მიხედვით, ტვირთის შესაზიდი და მომსახურებისთვის განკუთვნილი შესასვლელები, რომლებიც არ არის საზოგადოებრივი სივრცის ერთადერთი შესასვლელი, არ საჭიროებს მისაწვდომობას.

- 1103.2.5 ქვეთავის მიხედვით, დს ჯგუფის დაკავებულობებს არ ეხება მისაწვდომობის მოთხოვნები.

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობებში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, გზა-კარებს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- პროექტის მიხედვით, საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის მაქს. ქანობი გრძივი მიმართულებით შეადგენს 3.5%-ს, შესაბამისად, სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარი იღება ანჯამების საშუალებით და კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას. სადაც გამოყენებულია ორფრთიანი კარი, ისინი წარმოდგენილია გამყოფის გარეშე და თითოეული ფრთა შეესაბამება 404.2.2 და 4504.2.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სადაც გამოყენებულია ორი კარი მწკრივში, მათ შორის მანძილი აკმაყოფილებს 404.2.5 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კარები წარმოდგენილია ზღურბლების გარეშე. შესაბამისად, დაკმაყოფილებულია 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ზღურბლების სიმაღლე უნდა იყოს არაუმეტეს 13 მმ. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

